NEW BOOKS ახალი წიგნები

დავით მუსხელიშვილი, ისტორიული საქართველო. შრომები, ტ. II, ტ. III, თბილისი: გამომცემლობა " არტანუჯი", 2025

დავით მუსხელიშვილის „შრომების" II ტომში გაერთიანებულია მისი ორი ნაშრომი: „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე" (თბ., 2012) და „საქართველო IV-VIII საუკუნეებში" (თბ., 2004). პირველი მათგანი ერთი ნაწილია „საქართველოს ისტორიის" სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ერთტომეულისა, რომლის ერთ-ერთი შემდგენელი და კონკრეტული მონაკვეთის – საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე – ავტორია დავით მუსხელიშვილი. მეორე ნაშრომი კი მეცნიერის ფუნდამენტური კვლევაა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდის, IV-VIII საუკუნეების შესახებ.

იმავე ავტორის „შრომების" III ტომი თავს უყრის ავტორის ისტორიული, ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური ხასიათის კვლევებს, მათ შორისაა: „ციხე-ქალაქი უჯარმა" (1966); „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან – შაქი და გოგარენე" (რუსულ ენაზე. 1982); „ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა" (1978); „ქიზიყის ძველი ისტორია" (1997).

ნაშრომებს ახლავს შესაბამისი ილუსტრაციები, არქეოლოგიური მასალის ტაბულები და რუკები.

ორივე წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიის როგორც უძველესი ხანის, ისე შუა საუკუნეების პერიოდის მკვლევართათვის, აგრეთვე, დაინტერესებული საზოგადოებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ლია ახალაძე, წყაროთმცოდნეობა, თბილისი: გამომცემლობა „ფავორიტი", 2024

წიგნი განკუთვნილია ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის და მოიცავს, როგორც წყაროთმცოდნეობის თეორიულ პრობლემებს, ასევე, კონკრეტულ-წყაროთმცოდნეობითი ხასიათის თემატიკას. თეორიულ საკითხებში შედის წყაროთმცოდნეობის ზოგადი პრინციპები ყველა ტიპის ისტორიული წყაროთა ანალიზის, კრიტიკისა და ციკლური კვლევისთვის, ხოლო კონკრეტულ-წყაროთმცოდნეობითი თემატიკა ეყრდნობა საქართველოს ისტორიის წყაროებს, მის ჯგუფებს და მოიცავს ქართული წყაროების ყველა ჯგუფს. წიგნი დააინტერესებს ისტორიის მოყვარულ მკითხველ საზოგადოებასაც.

ალექსანდრე მიქაბერიძე, თბილისი . XVII საუკუნის გზამკვლევი ჟან შარდენის მიხედვით, თბილისი: გამომცემლობა " არტანუჯი", 2025

1672 წლის 17 დეკემბერს, როცა მთელი დღის განმავლობაში ბარდნიდა და თოვლი მძიმედ ეფინებოდა ქართლის სამეფოს დედაქალაქს, ალბათ, ცოტა თუ შენიშნავდა კაპუცინელ ბერებთან ერთად თბილისში შემოსულ უცხოელ მოგზაურს, ნელ-ნელა რომ მიიკვლევდა გზას ვიწრო ქუჩებში. ეს იყო ჟან შარდენი, ოცდაცხრა წლის ფრანგი იუველირი და ვაჭარი, რომლის მახვილი თვალი და დაკვირვებული გონება დაგვიტოვებს თბილისის შესანიშნავ აღწერას, თავისი მოსახლეობით, ბაზრებით, ეკლესიებით, სასახლეებითა და რაც მთავარია, თბილისის ხედის საუცხოო ჩანახატით.

ამ უნიკალურ დოკუმენტზე დაყრდნობით ვეცადეთ ხელახლა წარმოგვედგინა, როგორი იქნებოდა თბილისი XVII საუკუნის მიწურულს. ეს, ერთდროულად, ისტორიული რეკონსტრუქციაცაა და გზამკვლევიც, რომლის მიზანია, თანამედროვე მკითხველს დროში მოგზაურობისკენ უბიძგოს, რათა ერთად მოვინახულოთ ძვე-

ლი თბილისი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გასაყარზე მდგარი ქალაქი – ხალხმრავალი, მრავალფეროვანი და ისტორიით მდიდარი.

იეგერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თარგმნეს, შესავალი წერილი, კომენტარები და საძიებლები დაურთეს იზა აღლაძემ და გოჩა საითიძემ, თბილისი: გამომცემლობა " არტანუჯი", 2025

წიგნში განხილულია ავსტრიელი მეცნიერისა და მოგზაურის – იეგერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, რომელიც XIX საუკუნის პირველი მესამედის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ისტორიის შესწავლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროა. ნაშრომში ბევრი საყურადღებო ცნობაა საქართველოზე, მათ შორის, ყველაზე ვრცლად და საფუძვლიანად ტფილისის აღწერაა მოცემული, მისი საყოფაცხოვრებო პირობებით, წეს-ჩვეულებებით, ქუჩების, უბნების, ციხეებისა თუ დიდი ბაზრის აღწერით, ადგილობრივთა გარეგნობის, ტანისამოსისა თუ გოგირდის აბანოების მიმოხილვითა და სხვ. წყარო მიკვლეულია 2005 წელს და მისი ქართულენოვანი თარგმანი პირველად წარედგინება ქართულ სამეცნიერო და ფართო საზოგადოებას.

დავით ახლოური, ქსნის, ლეხურისა და მეჯუდის ხეობების მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში, თბილისი: გამომცემლობა „საარი", 2025

ნაშრომში 1860 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვვით შესწავლილია გორის მაზრაში შემავალი ქსნის, ლეხურისა და მეჯუდის ხეობებში არსებული დემოგრაფიული ვითარება. ძირითადი ყურადღება ეთმობა იმ სოფლებს, რომლებიც ისტორიულ ქსნის საერისთავოს ექვემდებარებოდა. საუბარია ერისთავებსა და მათ კუთვნილ მამულებზე, გლეხთა კატეგორიებზე, იმ დროისთვის არსებულ სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ ვითარებაზე. აღწერაში მოცემული სოფლების უმეტესობა დღეს ნასოფლარია, ავტორი ახდენს მათ ლოკალიზებასა და წარსულის მიმოხილვას. ასევე, მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების საარქივო მონაცემები შედარებულია როგორც ადრინდელ, ისე შემდგომი პერიოდის კამერალურ, საკავშირო და ეროვნულ აღწერებთან, ნაჩვენებია, საუკუნეების განმავლობაში როგორ იცვლებოდა ქართულ სოფლებში არსებული დემოგრაფიული ვითარება.

ჟაკ ლე გოფი, ევროპის დაბადება, მთარგმნელი თ. ლომიძე, თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე", 2024

ევროპის დაბადება - ამ საეტაპო ნაშრომში ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი ფრანგი მედიევისტი ჟაკ ლე გოფი თანამედროვე ევროპის წარმოშობის საფუძვლებს იკვლევს. ავტორი, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ცვლილებების შესახებ ისტორიული წყაროების ანალიზსა და ღრმა განსჯაზე დაყრდნობით გვიხსნის, როგორ ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებიდან თანამედროვე ევროპის სტრუქტურები და მახასიათებლები. ლე გოფი სიღრმისეულად განიხილავს ევროპული კონტინენტის ათსაუკუნოვან პერიოდს: ინსტიტუციების, იდეებისა თუ ხალხთა ურთიერთობების მნიშვნელობას, რამაც დღევანდელი ევროპის არსი და რაობა განაპირობა. ისტორიისა და პოლიტიკური რეფლექსიის გამაერთიანებელი ამომწურავი ნაშრომი საშუალებას გვაძლევს, წარსულის პრიზმაში გავიაზროთ ევროპული სამყაროს განვითარების პერსპექტივები და სამომავლო გამოწვევები.

ჰენრი კისინჯერი, ლიდერობა, თბილისი, 2025

ჰენრი კისინჯერმა, გამორჩეულმა დიპლომატმა და სახელმწიფო მოღვაწემ, თავის ბოლო წიგნში „ლიდერობა" მიმზიდველად დახატა მეოცე საუკუნის ექვსი

დიდი მოღვაწის პორტრეტი, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოების სისუსტე განმაახლებელ ძალაში მოაქციეს, გამოიკვლია მათი სტრატეგია და გააანალიზა, თუ როგორ ჩამოაყალიბეს ამ ლიდერებმა თავიანთი ქვეყნები და მსოფლიო.

კონრად ადენაუერმა კრიტიკული ნაბიჯები გადადგა მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის რეპუტაციისა და ლეგიტიმაციის აღსადგენად და ის კვლავ გამოიყვანა საერთაშორისო ასპარეზზე „მორჩილების სტრატეგიის“ მეშვეობით. შარლ დე გოლმა საფრანგეთის ისტორიული სიდიადის დასაბრუნებლად გამოიყენა ძლიერი „ნება, როგორც სტრატეგია“, დაყოფილი ქვეყანა აქცია სტაბილურ და აყვავებულ სახელმწიფოდ და დააყენა გამარჯვებული მოკავშირეების გვერდით. ცივი ომის ერთ-ერთმა მთავარმა მოთამაშემ, რიჩარდ ნიქსონმა შეერთებულ შტატებს სტრატეგიული უპირატესობა მოუპოვა „წონასწორობის სტრატეგიით“. ანვარ სადათმა თავისი არაბი მოკავშირეებისგან განსხვავებული მიდგომა შეიმუშავა ისრაელთან დაკავშირებით და „გადალახვის სტრატეგიის“ საშუალებით მშვიდობის ხედვა შემოიტანა ახლო აღმოსავლეთში; მან ეგვიპტე ჩამოაშორა საბჭოთა კავშირს და დაუახლოვა აშშ-ს. ლი კვან იუმ კულტურულად მრავალფეროვანი და ღარიბი პატარა კუნძული გარდაქმნა გლობალურ ფინანსურ ცენტრად და „სრულყოფილების სტრატეგიით“ შექმნა ძლიერი ქალაქი-სახელმწიფო – სინგაპური. მარგარეტ თეტჩერმა „დარწმუნების სტრატეგიით“ შეაჩერა დიდი ბრიტანეთის ხანგრძლივი დაცემა, გაზარდა მისი მნიშვნელობა თავისუფალი ბაზრისთვის, აღადგინა თავისი ქვეყნის მორალი და საერთაშორისო პოზიცია.

„ლიდერობის დიადი მაგალითები, – წერს ჰენრი კისინჯერი, – ამაღლებულისა და უაღრესად მიწიერის შეხლა-შეჯახებით იქმნება, ოცნებისა და ქმნადობის ურთიერთშეჯერებით. ამ დროს, ასევე გასათვალისწინებელია პიროვნული ძალისხმევის ფაქტორიც, სიღრმისეული ისტორიული ხედვა, დახვეწილი სტრატეგია და ხასიათის სრულყოფა. დიდი ხნის წინათ, სტოიკოსი ფილოსოფოსი ეპიქტეტე წერდა: ჩვენ არ ძალგვიძს გარეგან ვითარებათა არჩევა, თუმცა მუდამ შეგვიძლია ავირჩიოთ ამ ვითარებებთან გამკლავების გზაო. ლიდერთა დანიშნულებაც სწორედ ისაა, სწორი გეზი მისცენ ამგვარ არჩევანს და მის განსახორციელებლად შთააგონონ საკუთარი ხალხი“, ინგლისურიდან თარგმნა ზაზა ჭილაძემ.

თეოდორ მუთი, საბჭოთა საქართველოს ქრონიკები. 1921-1922, საარქივო მასალა მოიძია, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და სამეცნიერო სტატია დაურთო გიორგი ასტამაძემ, თბილისი: გამომცემლობა “ არტანუჯი“, 2025

გერმანელი ვიცე-კონსულის, თეოდორ მუთის ჩანაწერები გადმოსცემს იმ გარემოს, რომელიც დამყარდა 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ. ჩანაწერები შედგება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამი ნაწილისგან. პირველში გადმოცემულია რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის პერიოდი; მეორე ჩანაწერი აღწერს ჩეკას მიერ დაწყებულ ტერორს გასაბჭოებულ საქართველოში; მესამე კი ასახავს ბოლშევიკების უშიშროების ორგანოების მუშაობას გერმანული დიპლომატიური მისიის წინააღმდეგ თბილისში.

თეოდორ მუთის ჩანაწერებს ერთვის ისტორიკოს გიორგი ასტამაძის სამეცნიერო სტატია, რომელიც ჩანაწერებში გადმოცემულ მოვლენებს საარქივო მასალაზე დაყრდნობით განიხილავს, ამტკიცებს შინაარსის ავთენტურობას, ათავსებს იმ დროის პოლიტიკურ კონტექსტში და ხსნის ბოლშევიკების ქმედებების მოტივებს.